პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 28 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

19 (1014)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუ ჩ ულხმნი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## კარგად შეისწავლე წესდება—მტკიცედ შეასრულე ის.

ყოველი წითელარმიელი მოვალეა მთელი თავისი შეგნებით და მოქმედებით ხელს უწყობდეს წითელ ჯარში, კერძოდ თავის ნაწილში, დისციპლინის გამტკიცებასა და გამაგრებას. მტკიცე, ფოლადისებური დისციპლინა—აი ჩვენი წითელი ჯარის სიმტკიცისა და უძლეველობის მკვიდრი საფუძველი. იქ, სადაც დისციპლინა მაგარია, ნაწილის მდგომარეობაც ყოველმხრივ კარგია: სამხედრო-პოლიტიკური სწავლება ნაყოფიერად მიმდინარეობს, დანაშაულობების ჩადენის შემთხვევები ძლიერ ცოტაა და სხვა—ერთი სიტყვით მთელი ნაწილი წარმატებით მიდის წინ თავისი მუშაობის ყველა დარგში.

ერთ-ერთ საუკეთესო თავდებს დისციპლინის დაცვისა ნაწილში წარმოადგენს წესდების მტკიცედ და სისწორით შესრულება ყოველი წითელი მოლაშქრის მიერ.—წესდება კანონია წითელი ჯარის. ვინც ეს კანონი კარგად იცის და პირნათლად ასრულებს მას, ის დისციპლინის საუკეთესო გამტკიცებელია, ის წითელი ჯარის საუკეთესო მშენებელია.

დღეს წითელ ჯარში კიდევ აქვს ადგილი ქურდობას, სიმულიაციას, ღვინის სმას და სხვა ამგვარ არანორმალურ მოვლენებს, რომლებიც ასუსტებენ წითელი ჯარის ძალას. მართალია, ასეთი შემთხვევები ცოტაა, იშვიათია, მაგრამ ჩვენი მიზანია, რომ არავითარ ასეთ შემთხვევებს არ ქონდეს ადგილი, რომ ისინი სამუდამოთ, ძირფესვიანად მოვსპოთ ჩვენს რიგებში. ამისათვის საჭიროა დისციპლინის კიდევ უფრო გამაგრება და გაძლიერება. ეს კი შეიძლება თითეული წითელარმიელის მიერ წესდების, ბრძანებების, წითელ ყაზარმაში არსებული წესების სასტიკი დაცვით. თუ თითეულ წითელ მებრძოლს კარგად ეცოდინება სამხედრო წესდებები, თუ ის მტკიცედ შეასრულებს მათ და აგრეთვე ყველა ბრძანებას, მაშინ არანორმალურ მოვლენებსაც ჩვენს რიგებში ბოლო მოეღება. ავიღოთ მაგალითად ქურდობა. თუ დღიურს თავისი მოვალეობა კარგად ექნება შეგნებული, მაშინ ქურდობასაც ვერავინ ვერ მოახერხებს და ვერ გაბედავს. ან და საწყობს ვერავინ ვერ გაძარცვავს, თუ იქ დაყენებული გუშაგი ფხიზლად ყარაულობს მას და წესიერად ასრულებს დავალებულ საქმეს. ხშირია შემთხვევები, როცა წითელარმიელი უნებურად დანაშაულობას სჩადის, იმიტომ, რომ მან არ იცის კარგად წესდება.

ყოველი წითელ არმიელი ვალდებულია სამხედრო წესდებები კარგად იცოდეს, რომ კარგად შეასრულოს ისინი. მხოლოდ მაშინ ეცოდინება მას, როგორ უნდა მოიქცეს ის ამა თუ იმ შემთხვევაში.

ცხადია, გაუსწორებელ, უდისციპლინო, წითელარმიელების სიმულიანტობის და ქურდობის წინააღმდეგ — ჩვენ სასტიკად ვიბრძოლებთ. მათ საქმე ექნებათ ტრიბუნალთან. ხოლო ისეთებს, რომლებიც უნებლიე დამნაშავენი ხდებიან, წესდებათა უცოდინარობის გამო, მართებთ საჩქაროთ და საფუძვლიანად შეისწავლონ ასეთები.

ამ მხრივ დაწინაურებულ წითელარმიელებმა უნდა დაეხმარონ ჩამორჩენილებს.

წესდების კარგად ცოდნა და მისი მტკიცედ შესრულება—ყოველი წითელი მებრძოლის ერთი ძირითადი ვალდებულებათაგანია.

## ჩჟან-ზო-ლინს პროვოკაცია არ გაუმართლდა.

საბჭოთა მთავრობის ენერგიულ ჩარევამ აღმოსავლეთ—ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბებში, გასჭრა. ჩინეთის ხალხის ჯალათი ჩჟა-ზო-ლინი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებებისათვის და უკან დაიხია.

მას არ გაუვიდა მისი პროვოკაციული განზრახვა, რომელიც მდგომარეობდა საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხალხის შორის არსებულ მეგობრული დამოკიდებულების ხაშლაში.

როგორც ვიცით ჩჟან-ზოლინი ერთგული, მონა-მორჩილია იმპერიალისტების, რომლების მტაცებლურ ინტერესებს ის ემსახურება ჩინეთში.

მსოფლიო ბურჟუაზია ჰკუიდან იშლება იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის ხალხის შორის მჭიდრო მეგობრული კავშირია დამყარებული. და აი ჩჟან-ზო-ლინი, რომ სამსახური გაეწია თავისი ბატონებისათვის აპატიმრებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის უფროსს ამხ. ივანოვს, დაითარეშობს ამ რკინის გზაზე და ერთი სიტყვით თავიდან ბოლომდე არღვევს იმ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქმნა ჩინეთის მთავრობის და საბჭოთა მთავრობის შორის ამ რკინის გზის მართველობის შესახებ და რომელსაც თვით ჩჟან-ზო-ლინმა მოაწერა ხელი.

ყოველივე ამით ჩჟან-ზო-ლინი სცდილობს როგორმე ამ პროვოკაციული გამოსვლით მეგობრობის ხიდი ჩასტეხოს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის ხალხის შორის. მაგრამ ეს მას არ გაუვიდა. საბჭოთა მთავრობამ წესრიგისაკენ მოუწოდა აღვირახსნილ რეაქციონერს. მუხურ-გლეხურ მთავრობამ სააშკარაოზე გამოიტანა ჩჟან-ზო-ლინის საზიზღარი განზრახვა.

საბჭოთა ხელისუფლება მრისხანებით აღივსო არა ჩინეთის ხალხის მიმართ, არამედ ჩჟან-ზო-ლინის წინააღმდეგ, რომელიც შეეცადა ჩინეთის ხალხის და საბჭოთა კავშირის შორის უკმაყოფილების ჩამოგდებას.

უკანასკნელი რადიოს გადმოცემით ამხ. ივანოვი და ყველა დაპატიმრებული საბჭოთა მოსამსახურეები აღმოსავლეთ რკინის გზისა, განთავისუფლებული არიან, თვით რკინის გზის მიმოსვლა კვლავ ჩვენი ადმინისტრაციის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ სწარმოებს და სხვა.

როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი იუწყება კონფლიქტი თითქმის ამოწურულია.

მაგრამ კონფლიქტის ამოწურვა და მისი მშვიდობიანად მოგვარება იმას კი არ ნიშნავს, რომ ის ჩვენ დავივიწყოთ და შესაფერი დასკვნები არ გამოვიტანოთ მისგან. სრულიადაც არა.

ჩჟან-ძო-ლინის უნაყოფო პროვოკაცია ნათლად გვიმტკიცებს მას, რომ მსოფლიო ბურჟუაზია მუდამ მომარაჯებულია და ყოველ ხელსაყრელ მომენტში მზად არის ყელში გვეტაკოს.

„ჩვენ მზად უნდა ვიყოთ“ მტრის შესახვედრათ, აი რა უნდა ახსოვდეს ჩვენს წითელ არმიელს მის ყოველდღიურ სწავლებაში.

მეტის ენერგიით გავაძლიეროთ სამხედრო სწავლება, განვამტკიცოთ ჩვენი რიგები, მზად ვიყოთ ღირსეული პასუხი გავსცეთ მტრის თავხედობას.

აი ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩჟან-ზო-ლინის ამ უკანასკნელ უნაყოფო ავანტიურისაგან.

—ე.

# ახალი რადიო ამბები.

## შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის

### განხეთქილება მოგვარებულ იქნება მშვიდობიანად

24 იანვარს ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის შინაარსი მოკლედ შემდეგია:

რკინის გზის უფროსი ივანოვი და მოსამსახურეები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ მანჯურიის სამხედრო ძალების მიერ, თავისუფლდებიან. დღემდის არსებული პირობები რკინის გზებზე ისევ ისე რჩება. რკინის გზის მუშაობა აღდგენილ იქნება. განხეთქილების დროს რკინისგზის ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საკითხები გარჩეულ იქნება შემდეგში ორივე მხარეს მიერ.

ასე რომ, განხეთქილების მშვიდობიანად გადაჭრა უზრუნველყოფილია.

## დემონსტრაცია იაპონიის მოქმედების წინააღმდეგ

კვირას ტიან-ცზინის ჩინეთის ნაწილში გაიმართა დიდი დემონსტრაცია იაპონიის მოქმედების წინააღმდეგ მანჯურიაში. წამოყენებულ იქნა შემდეგი ლოზუნგები: ბრძოლა ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ; „ძირს დუან-ცზი-ჟუი!“ საბაჟო დამოუკიდებლობა; სახალხო მთავრობის შედგენა; სამოქალაქო თავისუფლება და სხვა.

## მდგომარეობა ჩინეთში

### შანხაი-გუანის ფრონტზე დროებით სიწყნარეა.

**შიგა ჩინეთში მდგომარეობა სწვავდება**

შანხაი-გუანის ფრონტზე საბრძოლო მოქმედება შეჩერდა. ორივე მხარე აგროვებს ძალებს, ამაგრებს პოზიციებს და ემზადება ახალი ბრძოლისათვის.

შიგა ჩინეთში მდგომარეობა საათობით მწვავდება. საერთო მდგომარეობა გამოურკვეველია, ვინაიდან სწორი ცნობები არ მოიპოვება, ხოლო არსებული ცნობების მიზანია საქმის ნამდვილი ვითარების მიჩქმალვა ამა თუ იმ მოპირდაპირის სასარგებლოდ.

## ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია.

### კამათი ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გამო.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ ორატორებმა. მათ აღნიშნეს საბჭოთა მთავრობის მიღწევები და ნაკლი აღმშენებლობის საქმეში და მიუთითეს იმ ზომებზე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნან უახლოეს მომავალში მშრომელთა ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გასაძლიერებლად.

### მისალმებანი.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მისალმებათა მთელი რიგი:

20.000 ქურთ—იეზიდების წარმომადგენელმა ხალიფოვმა განაცხადა: „ჩვენ არ გვახსოვს ისეთი მაგალითი, რომ ჩვენს წარმომადგენელს მონაწილეობა მიეღოს ამიერკავკასიის მთავრობაში. წინად ქურთები ერთვნული შუღლის იარაღი იყო ბეგების ხელში, დღეს კი ისინი თვითონ ჰქმნიან თავიანთ ცხოვრებას.“ მისალმებით გამოდიან აგრეთვე სომხეთის მასწავლებლობის, ლენინკანის მუშების, სომხეთის პროფესორების წარმომადგენლები და და სხვა.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. ორახელაშვილი;

### ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა

ამხ. ორახელაშვილი პასუხს იძლევა სხვა და სხვა შეკითხვებზე.

ჰიდრო-ელექტრო აღმშენებლობის შესახებ მან განაცხადა, რომ ეს მუშაობა იწარმოებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. დღის წესრიგში არის სადგურების მოწყობა განჯასა და ნუხაში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ორატორების გამოსვლას და ამბობს: „ჩვენი მტკივნეული საკითხი—ეს არის გზები. ამ მხრივ ჩვენმა რესპუბლიკამ ამ წელში მიიღო ცენტრისაგან დახმარება, რითაც ჩვენ რამოდენიმედ დავაკმაყოფილებთ ამ საჭიროებას.

მეორე—ეს არის საბინაო საკითხი. რკინისგზებზე 800 ვაგონი უკავია საცხოვრებელ ბინად მუშებს და მათ ოჯახებს. ხალხი ამ ვაგონებში იბადება, ცხოვრობს და კვდება. ეს არანორმალური მოვლენაა. ამ წელში განზრახულია სათანადო თანხას გაღება რკინისგზის მუშებისთვის ბინების ასაგებად“.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ფლანგვის საკითხს და მათ საწინააღმდეგო ბრძოლის ზომებს, ლტოლვილთა საკითხს და ბოლოს გადადის სოფლის ბობოლების გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე და ამბობს:

„ჩვენ ხელოვნურ ძალადობას უარვყოფთ; ჩვენ ვსცდილობთ უფრო სხვა გზით ჩამოვაშოროთ ბობოლას გავლენას საშუალო შეძლების გლეხი; ჩვენ ვსცდილობთ, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობაში საშუალო შეძლების გლეხი უფრო ნათესაურ კავშირს გრძნობდეს ღარიბთან“.

### რეზოლიუცია.

ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც სესია იწონებს მთავრობის მიერ ჩატარებულ მუშაობას.

შემდეგ სომხეთის მთავრობის სახელით საანგარიშო მოხსენებით გამოდის სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამბარცუმიანი.

# პირველი ქართულ დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია.

ამხ. მარკაროვის მოხსენების შემდეგ მესამე და მეოთხე სხდომაზე საღამოთი და დილით იწყება კამათი პოლიტ-განყოფილების მუშაობის შესახებ, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ: ამხ. ამხ. ჩხიკვიშვილი, სხვიტარიძე, ტაბუცაძე, ჭოლოკავა, ჭოხონელიძე, ყრუაშვილი, ნამგალაძე, ქაჯაია, სურგულაძე, ბარამიძე, ალფაიძე, ქალიაშვილი, ტალახაძე, ბლუაშვილი, უგულავა, ბახტაძე, ნადირაძე, ნიკოლაიშვილი, ადამაძე, ბაბლიძე, კულუმბეკაშვილი, ტიგიშვილი, ნანაძე, ხიხაძე, გოგიჩაიშვილი, ქაკაბაძე, ასათიანი, ნუცუბიძე და სხვა.

კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავენ საჭიროებას, რათა ტერ-ალმშენებლობის საქმეში ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობა უფრო მეტად გაძლიერდეს მომავალში. აღნიშნავდენ აგრეთვე სამაზ. სამხ. კომის.-ბის სუსტ მუშაობას ტერ-ნაწილების მოწყობის დარგში. სამაზრო სამხკომატების მიერ მრავალ ალაგას არ იყო სწორედ მიწერა წვევამდელებისა, რადიუსი იყო დიდი. კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდენ აგრეთვე წვევამდელთა და ცვალებადელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სუსტად დაყენებას.

პოლიტიკური და სამხედრო შეერთებული სკოლების შესახებ, კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობა მოითხოვდა ხსენებული სკოლებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერების საჭიროებას პოლიტ-განყოფილების მხრივ.

კამათის გათავების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის

## ამხ. მარკაროვი,

რომელიც გამოსთქამს კმაყოფილებას კამათის ასეთი საქმიანი ხასიათით. „ამხ-გებმა დიდი აქტიობა გამოიჩინეს პოლიტ-განყოფილების მუშაობის დაფასებაში—ამბობს ის, „რამაც აგრეთვე ჩვენ ხელი შეგვიწყო ადგილებზე მომუშავე ამხ-გების მომზადების დონის შეფასებაში. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტერ-სისტემას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა და ის საიმედო ამხ-გების ხელშია. ადგილებზე მომუშავეები საკმაოდ გაწვრთნილი არიან და სავსებით ნათელი წარმოდგენა აქვთ მომავალი მუშაობის ამოცანებზე.

ამის შემდეგ ამხანაგი მარკაროვი ჩერდება კამათში გამოსულ თითეული ამხანაგის სიტყვებზე, და აღნიშნავს შემდეგს: „მთელი ჩვენი მუშაობის ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს წერტების მუშაობაზე. აქ გამოსული ამხანაგები ნათლად ამტკიცებენ, რომ წერტებზე მუშაობა სწარმოებს. ამხანაგების სიტყვებით, თითქოს ადგილობრივი ორგანიზაციები არ გვიწევდენ სათანადო დახმარებას ტერ-ალმშენებლობის საქმეში, არ არის სრულებით სწორი. თუ არის ერთდაგვარი სისუსტე, ეს აიხსნება ჩვენი ახალი საქმით—ტერ-სისტემით. ძლიერ ბევრის მოთხოვნა ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებისაგან ჯერ-ჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია.

აგიტაცია-პროპაგანდის შესახებ აქ გამოითქვა აზრი ამხ-გებისაგან, თითქოს მას არა აქვს სისტემატიური ხასიათი ფართო მოსახლეობაში, არც ეს არის მართალი. თუ რომელიმე ნაწილის მუშაობას ხელს უშლიდა რაიმე სპეციფიური პირობები, ასეთივე არ ითქმის ყველა ნაწილებზე.

ზოგიერთი ამხ-გები ამბობენ, რომ თავის დროზე არ იყო განკარგულება საერთო შეკრებისათვის, რამაც ერთდაგვარი არევ-დარევა შეიტანა მუშაობაშიო. ამისი მთქმელებიც არ არიან მართალი, რადგან 4 დღე საკმარისია იმისათვის, რომ შეძლება ქონებოდათ ნაწილებს ამ მუშაობის დაწყებისათვის.

წვევამდელთა მზადებას წელს უფრო გეგმიანი ხასიათი ქონდა შარშანდელთან შედარებით. არ არიან მართალი ის ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, რომ წელს უფრო ნაკლები შედეგები გვაქვს ვიდრე წარსულ წელშიო. ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ იმაზე მეტი თანხები ადგ. საბჭოთა ორგანოებს, რაც გათვალისწინებული არ არის ბიუჯეტში. ღარიბ წვევამდელთა კმაყოფით უზრუნველყოფისთვის ჩვენ მომავალში მივიღებთ სათანადო ზომებს.

ზოგიერთი ამხ-ბი უსაყვედურებენ ადგ. სამაზრო სამხედრო მაგიდებს, რომლებიც თითქოს არ აწარმოებენ წვევამდელთა სწორ მიწერას. არ აქცევენ ყურადღებას წერტების მოწყობას და სხ. ეს შენიშვნა უდავოა და მართლაც ამ საკითხებში ბევრ ალაგას ზემოხსენებული ორგანოები მოიკოჭლებენ. ჩვენ ვიხმართ ყოველივე ზომას, რომ შემდეგისათვის გამოვასწოროთ ეს ნაკლი. წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ ითქვა, რომ ადგილობრივად ეს მუშაობა წვევამდელთა და ცვალებადელთა შორის ტარდება სუსტათო, რაშიაც ჩვენც ვეთანხმებით. ადგილებზე მომუშავე ჩვენმა ამხანაგებმა უნდა გამოიჩინონ მეტი ენერგია და აღმოუჩინონ ჯეროვანი დახმარება ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც ატარებენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ამ მიზნისათვის სათანადო ორგანოების მიერ უკვე გაცემულია თანხები. ჩვენი მოვალეობა იქნება ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ ამ მუშაობის ნაყოფიერად ჩატარებისათვის. თუ მომავალში ჩვენ კიდევ გვეყოლება ცვალებადელები და წვევამდელები წერა-კითხვის უცოდინარნი ამაში აუცილებლად დამნაშავენი იქნებიან ჩვენი ამხანაგები.

იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ამხანაგები ახერხებენ გვერდის ავლას ვალდებულობის მოხდისაგან, ეს ჩვენც ვიცოდით და ვღებულობდით ყოველივე ზომებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საშუალებით.

პოლიტ ხელების მომზადებისათვის და საერთოდ მათი სკოლებში გაგზავნისათვის, ჩვენ მივიღებთ ყოველივე ზომებს და შევეცდებით ამ მხრივ ამხანაგების სურვილების დაკმაყოფილებას შესაძლებლობის ფარგლებში.

ამის შემდეგ ამხანაგი მარკაროვი გადადის სამხედრო მეთაურთა და სამხედრო პოლიტიკურ სკოლებთან დამოკიდებულების საკითხებზე და ამბობს, რომ მე მართალი ვიყავი, როცა ჩემს მოხსენებაში ვსთქვი, რომ ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნულ სკოლებთან გამოურკვეველიაო. საჭიროა და აუცილებელიც ზემოხსენებულ სკოლების დამორჩილება პოლიტ-განყოფილებაზე გათვალისწინებული სათანადო ბრძანების თანახმად. ამით ჩვენ შევსძლებთ სწორ ხელმძღვანელობას და დამოკიდებულების განმტკიცებას სკოლებთან და მათ პარტორგანიზაციებთან.

რაც შეეხება კერძოთ სამხედრო-პოლიტიკურ სკოლას, ჩვენი ხელმძღვანელობა ამ სკოლაზე უნდა იყოს სრული. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ იმით, რომ მივიღოთ ამ სკოლიდან ჯანსაღი და კარგად მომზადებული პოლიტ-მომუშავეები ჩვენ ვიხმართ ყოველივე ზომებს, რომ მთლიანად მივაღწიოთ ყოველივე ამას.

(მხურვალე ტაში).

პოლიტ-განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენების, კამათისა და საბოლოო სიტყვის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რითაც კონფერენცია პოლიტ-განყოფილების მუშაობას სთვლის სრულიად დამაკმაყოფილებლად.

## პარტ-კომისიის მუშაობა.

25 იანვარს მე-6 სხდომაზე დილით მეორე დივიზიის პარტ-კომისიის მუშაობის შესახებ


ამხ. ტიგიშვილი

მოხსენებას აკეთებს ამხ. **ტიგიშვილი**, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორი შემადგენლობით და რა პირობებში უხდებოდა მას მუშაობა პირველ დივ-პარტ-კონფერენციამდე. პარტკომისიის არჩევნები, ამბობს მომხსენებელი, მოხდა 1924 წლის ზაფხულზე. არჩეულ ამხანაგების გადაჯგუფების გამო პარტკომისიის ძალები დაიქსაქსა, და მას მოაკლდა წევრები.

პარტკომისიის ყოველ სხდომებს ესწრებოდენ მის წევრებს გარდა პარტიისა და კომკავშირის ცეკას ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, პირველი დივიზიის და რუსული დივიზიის წარმომადგენლები.

მთელ ამ ხნის განმავლობაში მიღებულია პარტიაში სულ 360 კაცი, აქედან კანდიდატია 288, წევრები კი—72. კანდიდატთა რიცხვში გადარიცხულია კომკავშირის რიგებიდან 112 კომკავშირელი.

პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვათ 56 კაცს. სხვა და სხვა მიზეზებით პარტიიდან სრულიად გამოირიცხა 9 კაცი, დროებით კი—2. საყვედური გამოეცხადა 8 კაცს.

პარტკომისიას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჰქონია 47 სხდომა, სადაც გარჩეულა 478 საკითხი, რომლებიც უმთავრესად ეხებოდენ პარტიაში მიღებას.

ხშირად პარტკომისიის სხდომები იწვევოდა თვით ნაწილებში, რომელსაც ესწრებოდენ მახლობელი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ნაწილის პარტ-შემადგენლობა.

პარტკომისიის მუშაობის პროცესში დიდი ყურადღება ექცეოდა სათანადო ჰასაკის და აქტიურ კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვას.

პარტიაში მიღების დროს ჩვენ წინა-წარ ვაწარმოებდით შეკითხვებს პარტიის იმ კომიტეტებზე, საიდანაც იყო განცხადების შემომტანი. ამ საშუალებით ჩვენ ჯერ კარგად შევისწავლიდით პარტიაში შემომსვლელს და შემდეგ თუ დააკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნილებას, ე. ი. ჩაგვაბარებდა პოლიტიკურ გამოცდებს, ჩვენ მივიღებდით ასეთებს პარტიაში საერთო წესით. პარტიის სათანადო კომიტეტებთან ასეთმა მიწერ-მოწერამ ჩვენ აგვაცდინა ბევრ შეცდომებს და პარტიაში მართლაც ისეთებს ვღებულობდით, რომლებიც იყვნენ ღირსი. დიდი ყურადღება ჩვენს მიერ ექცეოდა აგრეთვე სოციალურ მდგომარეობას.

ყოველივე ამ მუშაობას პარტ-კომისია აწარმოებდა დივიზიის პოლიტ-განყოფილებასთან შეთანხმებით. არმიის პარტკომისიასთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა და გვაქვს. არ ყოფილა შემთხვევა ერთი შემთხვევის გარდა, რომ არმიის პარტ-კომისიას არ დაედასტურებიოს ჩვენი დადგენილებები. კარგი კავშირი გვქონდა საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიასთან, კომპარტიის ცეკასთან და ა. ლ. კ. ცეკასთან, ტრიბუნალთან და საგანგებო განყოფილებასთან.

ამის შემდეგ ამხ. ტიგიშვილი გადადის არმიის პარტკომისიის მუშაობის ანგარიშებზე და დაწვრილებით აღნიშნავს, თუ რამდენი წევრი და კანდიდატი მიიღო არმიის პარტ-კომისიამ, რამდენი გამოირიცხა და რა მიზეზების გამო. ცნობები ამის შესახებ შემდეგია; 1924 წლის ზაფხულიდან დღემდე არმიის პარტ-კომისიის მიერ მიღებულია პარტიის წევრად 1153 კაცი, კანდიდატად კი—2239. კანდიდატთა რიცხვიდან 460 მუშაა, 1510 გლეხი, და დანარჩენი სხ. და სხ. მთელი ამ წლინახევრის განმავლობაში პასუხისგებაში მიცემულია 224 კაცი, რომელთაგან გამოირიცხა 85.

არმიის პარტკომისიის მთავარი ამოცანა იყო პარტ-შემოწმების ჩატარება არმიის მასშტაბში. შემოწმებაში გატარდა სულ 1266 კაცი.

მოხსენების დათავების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ამხ. ამხ. ადამია, ჭოლოკავა, მარკაროვი, ნამგალაძე, დუმბაძე, სხვიტარიძე, ჭოხონელიძე, ნუცუბიძე და სხვები, რომლებიც აღნიშნავენ პარტკომისიის მუშაობის ნაკლს და მის მიღწევებს.

ამხ. ტიგიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც პარტკომისიის მუშაობა ცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად.

# სამხედრო საქმე.

## საზამთრო სწავლების მეორე საფეხურის ამოცანები.

### თუ გსურს გახდე კარგი მსროლელი, შეისწავლე ყველა იარაღი.

15 იანვრიდან დაიწყო საზამთრო სწავლების მეორე საფეხური, რომელიც გაგრძელდება ბანაკად გასვლის დრომდი (1-ლ მაისამდი). ახალგაზრდა წითელ არმიელებმა პირველ საფეხურის განმავლობაში მიიღეს დაწყებითი სამხედრო მომზადება, გაეცნენ სამხედრო სამსახურს და ეხლა უკვე შეუძლიათ შეუდგენ იმ მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლას, რომელიც ასწავლის, თუ როგორ უნდა დაამარცხოს მტერი.

სამხედრო საქმე საკმაოდ რთულია. მისი შესწავლა მოკლე დროში შეუძლებელია. საჭიროა არა ნაკლებ ერთი წლის განუწყვეტელი, ენერგიული მუშაობა.

ამ ანგარიშით აგებულია სწავლების გეგმა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რათა სამხედრო საქმის შესწავლა თანდათან ფართოვდებოდეს, ე. ი. ჯერ წითელ არმიელი უნდა ეცნობოდეს უფრო ადვილს და თანდათანობით გადადიოდეს უფრო რთულის შესწავლაზე. სწავლების მეორე საფეხური წარმოადგენს საერთო საბრძოლო მომზადების ერთ-ერთ საფეხურთაგანს. რა ამოცანებს ისახავს ის?

მეცადინეობის დაწყებამდი წითელ არმიელები დაიყოფიან სპეციალობისდა მიხედვით: მსროლელნი, მეტყვიამფრქვევენი, მოთვალთვალენი, საკავშიროელნი, მორბედნი და სხვა. ერთი სიტყვით თვითეული წითელ არმიელი ემზადება განსაზღვრული ვალდებულების (სპეციალობის) ასასრულებლად, რომელსაც ის განსაკუთრებით დაწვრილებით ეცნობა ამ საფეხურის განმავლობაში. თავისი სპეციალობა მას სიწორით უნდა ესმოდეს. მაგრამ, ამას გარდა ყველა წითელ არმიელებმა იმავ დროს კარგად უნდა შეისწავლონ თავისი განყოფილების სხვა სპეციალობანიც, რათა ყოველ წუთში შეეძლოს გასწიოს თავისი ამხანაგის მაგივრობა. ამრიგად, თვითეული მეომარი მომზადებულ უნდა იქნას ისე, რომ მას შეეძლოს მსროლელის, გრანატმტყორცნელის, მეტყვიამფრქვევის, მოთვალთვალის, მორბედისა და მზვერავის ვალდებულებათა ასრულება.

დაზგის მეტყვიამფრქვევემ, გარდა თავის სპეციალობისა, უნდა შეისწავლოს ყველა ზემოჩამოთვლილი სპეციალობა. მაგრამ ამით არ თავდება პირველი საფეხური: ყველა მეომრები გაცნობილ უნდა იქნან თავისი ოცეულის იარაღს და შეეძლონ მისი ხმარება ბრძოლაში.

ამრიგად საზამთრო სწავლების მეორე საფეხური წარმოადგენს სკოლას მებრძოლ—სპეციალისტისა, რომელსაც შეეძლება ყოველ წუთში შესცვალოს ამხანაგი თავის ათეულში და შეეძლოს თავისი ოცეულის ყველა იარაღის ხმარება.

ვ.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## 22 (9) იანვარი აღსანიშნავი დღეა.

მეთაურთა სკოლა.

22 იანვარი მეტად ხალისიანი დილით დაიწყო. ზოგიერთი კურსანტი განწესებაში გასულ ამხანაგს, „ლენინის გარდაცვალების 2 წ. თავის" აღსანიშნავად, გამართულ სალამოს შთაბეჭდილებას უზიარებს...

ერთი ჯგუფი აგერ იმ პაწია ნადირზე ლაპარაკობს, რომელიც ცხენებს ეპარება და ღამლამობით მოსვენებას არ აძლევს.

— მერე რა ლამაზად დაუწნავს ხოლმე ფაფარს ის ვერანი—თრითინა?!.

— თრითინა კი არა, სინდიოფალა ჰქვია; შენიშნავს მეორე, ქართლელი კურსანტი.

— თუ მაინც ოფლიანი იქნა ცხენი კი აღარ მოსცილდება. მთელ ღამეს აწვალებს, ვერც დაიჭერ,—ძალიან სწრაფია ის ოხერი.

— იცით, მაგის წამალს მე გასწავლით, ჩაერია ერთი მეთაური: მამალი თხა უნდა დააბათ თავლაში და სინდიოფალაც ახლოს აღარ გაეკარება, მამალი თხის სუნი.

სკოლაში ამ დილით „9 იანვრის აღსანიშნავი დილა" უნდა გაიმართოს. მოხსენების დაწყებამდე კურსანტები და მეთაურები ჯგუ-ჯგუფად საუბრობენ.

იწყება მოხსენება.

ამხანაგი გარდაბხაძე ვრცლად შეუდგა „9 იანვრის" ამბების გაშუქებას.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო მუშათა მაშინდელ მდგომარეობას და იმ პირობებს, რომლებმაც, ე. წ. გაპონის ავანტიურას შეუწყვეს ხელი.

მოხსენება საინტერესო აღმოჩნდა და კმაყოფილი მსმენელნი ხალისიანად დაიშალნენ შევბულებაში წასასვლელად.

კურსანტები გაეშურენ ქალაქისაკენ.

სკოლა თითქმის დაცალიერდა.

„1905 წლის მეორე სალამო", რომელიც კურსანტებს ამ დღეს უნდა გაემართად—გადიდო მეორე დღისთვის!..

სამხკორი ჩვენი.

## ჩვენი მიღწევები.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი თავისი ენერგიული მუშაობით დიდი შედეგების წინაშე დადგა. პირველად ყოვლისა ეს მიღწევები [illegible]ლად სჩანს სამხედრო საქმეში. ჩვენი წითელარმიელების მთელი გულისყური და მთელი ენერგია მიპყრობილია სამხედრო საქმის საფუძვლიანად შესწავლისაკენ.

არა ნაკლები ყურადღება ექცევა პოლიტ-მეცადინეობასაც. პოლიტსაათები ლეგიონში სისტემატიურად ტარდება. სათანადო მომზადებული პოლიტხელები კიდევ უფრო აძლიერებენ წითელარმიელების ინტერესს ამ დარგისადმი.

ლეგიონში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები და ჯგუფები, როგორიც არის რემედასი, პოლიტიკური, დრამატული, მომღერალთა, ლიტერატურული, ფეხბურთელთა, სამხკორთა და სხვა წრეები. ყველაში გაცხოველებულია მუშაობა. სამხკორთა წრე სამაგალითოდ არის დაყენებული. მრავალი წითელარმიელები არიან შიგ მიზიდული. ფეხბურთელთა წრეს რამოდენიმეჯერ მოუხდა შეჯიბრი სხვა და სხვა, ნაწილებისა და ორგანიზაციების წრეებთან, მაგრამ ყველგან გამარჯვებული გამოვიდა.

საუცხოვოდ არის ლეგიონში დაცული სანიტარული მდგომარეობა. სასადილოში, სამზარეულოში, თვით საცხოვრებელ ბინებში იშვიათი სისუფთავეა.

ლეგიონს მოწყობილი აქვს აგრეთვე სასროლო კაბინეთი, რომელშიდაც წითელარმიელები ბლომად არიან მიზიდული და სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა.

სასურველ დონეზე სდგანან აგრეთვე კლუბი და ბიბლიოთეკა, რომლებიც ყველაზე უფრო დიდ როლს თამაშობენ წითელარმიელთა აღზრდის საქმეში. უზრუნველყოფილი ვართ გაზეთებით, სხვა და სხვა საჭირო ბროშურებით და წიგნებით. ხშირად იმართება სალამოები. საჭმელ-სასმელი სუფთა და ნოყიერი გვეძლევა.

ასეთი მდგომარეობა ლეგიონში ერთიათად ზრდის წითელარმიელების ინტერესს და ენერგიას და იმედი გვაქვს კიდევ უფრო გავზრდით ჩვენი მეცადინეობის ნაყოფიერებას.

სამხკორი ღურბინდი.

## დააარსეთ რემედასის უჯრედი.

მეთაურთა სკოლა

25 იანვარს სკოლის სამწყობრო და უმწყობრო ასეულების გაერთიანებულ კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება რემედასის მნიშვნელობის შესახებ. წითელ არმიელები ინტერესით უგდებდენ ყურს მოხსენებას, მისცეს მრავალი შეკითხვები. მომხსენებელს, რის შემდეგ ერთხმად იქნა დადგენილი ორთავე ასეულებმა გაერთიანებულად დაარსონ რემედასის უჯრედი.

შემდეგი მოხსენება გაკეთებული იქნა სამხედრო ქიმიის მნიშვნელობის შესახებ. სკოლიდან მომაგრებული კურსანტები დაგვპირდენ, რომ ამ დღეებში დაარსებენ ჩვენთან ქიმიურ უჯრედსაც, რასაც კმაყოფილებით შეხვდენ ამხანაგები.

კარგი იქნება თუ დაპირებას მალე შეგვისრულებენ ამხანაგები.

სამხკორი ამ. კვიკვიძე.

## ამუშავდა ლენინის კუთხე.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონის 1-ლ ესკადრონში ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოკეთდა ლენინის კუთხეში მუშაობა, ეს მას შემდეგ, რაც მუშაობაში ჩაებენ პოლიტხელი და ესკადრონის თავი. სხვა და სხვა საუბრებთან ერთად ხშირად ეწყობა სასარგებლო გასართობები. მათ შორის ძლიერ იზიდავს არმიელებს პოლიტ-ლატარია.

ამ რამოდენიმე დღის წინად პოლიტხელმა ითავა ასეთი ლატარიის გამართვა. შეძენილი იქნა კარგად მოპასუხე წითელ-არმიელებისათვის სხვადასხვა საჩუქრები. ლატარიამ მრავალი ამხანაგები მიიზიდა. ერთმანეთს ეჯიბრებოდენ პასუხის გაცემაში. გამოირკვა, რომ ბევრ მათგანს უკვე საკმაოდ აქვთ შეთვისებული საჭირო ცოდნა. ისინი დასაჩუქრებული იქნენ ყველა კითხვაზე სწორი პასუხის გაცემისათვის.

ლენკუთხეში ამას გარდა ყოველ სალამოობით იმართება საუბრები და კამათი სხვა და სხვა საკითხების გარშემო.

კარგი იქნება ჩვენი მეთაურები ხშირად გამართავდენ ლატარიით შეჯიბრს წითელ არმიელებისათვის.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი

## ვასამხედროებთ ადგილობრივ მოსახლეობას.

4-ხე ლეგ. მე-2 ათასეული.

ორი კვირაა მას შემდეგ, რაც ათასეულმა მოაწყო სამხედრო სამეცნიერო კუთხეები, თვით ათასეულთან და ქალაქის სამკითხველოსთან. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა ამ გარემოებას.

კუთხეები უზრუნველყოფილია ყოველგვარი სამხედრო იარაღებითა და მასალებით, რაც აუცილებელია სამხედრო საქმის შესასწავლად.

წრეებში უკვე ჩამოყალიბდა სამხედრო მეცადინეობა და სისტემატიურად მიმდინარეობს. სულ გვყავს რამოდენიმე ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედიან თვით ათასეულის წითელ არმიელები, მეორე ჯგუფში ქალაქის დაინტერესებული მცხოვრებლები—წვევამდელები, ცვალებადი წითელ არმიელები და თავისუფალი მოქალაქენიც. მესამე ჯგუფში კი შედიან მახლობელ სოფლების გლეხები, რომლებთანაც უმთავრესად კვირა დღეებში მიმდინარეობს მეცადინეობა.

ასეთივე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ქალაქის სამხედრო კუთხეებშიდაც, სადაც ჩამოყალიბებულია ორი ჯგუფი. ერთ ჯგუფში მეცადინეობს ახკომკავშირელები, მეორეში კი პარტიის წევრები, პროფკავშირის წევრები და სხვა მსურველი მოქალაქენი.

ორივე წრეში ჯერ-ჯერობით ოთხმოც კაცამდე აღწევს წევრთა რაოდენობა. იმედია ეს რიცხვი კიდევ უფრო გადიდდება მომავალში.

სამხკორი ლავრო.

## უახლოვდებით გლეხებს.

2-რე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი დიდ ყურადღებას აქცევს გლეხებთან დაახლოების საკითხს. ამ მიზნით ლეგიონის ყველა კომკავშირელები და სხვა მსურველი ამხანაგები გავემგზავრეთ სოფელ ახალშენში, სადაც მოსახლეობენ აჭარელი და ბერძენი გლეხები.

ჩვენ გაუარეთ აგრეთვე პირველ რუსულ ლეგიონს, საიდანაც გამოგვყვენ ყველა კომკავშირელები.

გზადაგზა უკრავდა მუსიკა. გლეხები აღფრთოვანებით შემოგვეგებენ. მივესალმეთ ერთმანეთს, ჩავერიეთ და გაიმართა ბაასი სხვა და სხვა საკითხების გარშემო. უზიარებდით ერთმანეთს საკუთარ შეხედულებებს სხვადასხვასაკითხების გარშემო.

შემდეგ გაიმართა მიტინგი. ამხანაგები უმთავრესად შეეხენ ლენინის გარდაცვალების ორი წლის თავს, მის მოღვაწეობას და სხვა. დასასრულ წაკითხული იქნა ლენინის ანდერძები. გლეხები ყურადღებით უსმენდენ ყველაფერ ამას და მიტინგის დასრულების შემდეგ გვთხოვეს ხშირად მივსულიყავით მათთან და გაგვემართა საუბრები, რაზედაც მივეცით სიტყვა.

სამხკორი ცარკიძე.

## მეცადინეობა კარგათ დამთავრდა

მე-4 ლეგ. მე-5 ასეული.

15 იანვარს დამთავრდა ჩვენი ასეულის წერტზე წვევამდელებთან მეცადინეობა, რომელსაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია, ეს დამტკიცდა მოხდარ გამოცდებით. გამოცდებზე დაესწრო ქიათურის პარტკომის მდივანი ამხ. ურუშაძე. ამ ექვსი კვირის განმავლობაში ასეულმა შესძლო სულ 136 კაცის სამხედრო პოლიტიკურათ და კულტურულათ გაწვრთნა. ეს მით უფრო შესამჩნევი ხდება, თუ მხედველობიდან არ გაუშვებთ იმ გარემოებას, რომ პირველათ წერტებზე თავის მეყოფის დროს, მათ ვერ შეხვდებოდით სამკითხველოში, წერა-კითხვის უცოდინარეებს ვერც ეტყოდი თუ რა იყო სალიკვიდაციო სკოლა. ყველაფერი ეს ჩქარა იქნა მოგვარებული პოლიტ-მომუშავების ენერგიული მოქმედებით. წერა-კითხვის უცოდინარებმაც ამ ექვსი კვირის განმავლობაში ისწავლეს წერა-კითხვა და გამოიწერეს გაზეთი „წითელი არმიელი" თავისთვის. ამ რიგათ სამხედრო საქმის შესწავლა წარმატებით დამთავრდა წერტზე.

მ. ხიტირია.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პარტიული მუშაობა ჩვენთან

2-რე ლეგიონი

ჩვენს ლეგიონში სისტემატიურად მიმდინარეობს პარტმუშაობა და კარგ შედეგებსაც ვღებულობთ. ბიურო კოლექტივის ხელმძღვანელობა ნაწილში დამაკმაყოფილებელია. ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია პარტუჯრედები, რომლებსაც შესაფერ ხელმძღვანელობას უწევს ბიურო კოლექტივი.

ნაწილში ხშირად ეწყობა აგრეთვე კომუჯრედების მდივნების თათბირები, რამაც თავისებური კვალი დააჩნია ჩვენს მუშაობას.

პარტიულ დღეთ ლეგიონში დანიშნული გვაქვს ხუთშაბათი. ამ დღეს ყოველ მიზეზ გარეშე ეწყობა კომუჯრედების კრებები. კომუჯრედების კრებებს ხშირად ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელებიც. პარტიული მასის ზეგავლენა უპარტიოებზე დიდია ლეგიონში.

ბიურო კოლექტივი კარგს ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე ლეგიონში წარმოებულ მასიურ მუშაობას კლუბის საშვალებით. გამოცოცხლდა წრეების მუშაობა, ლენკუთხეებში, ბიბლიოთეკაში.

ჩვენს უჯრედებს კავშირი აქვთ აგრეთვე სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციებთან. ასევე დამაკმაყოფილებელია პარტიის ხელმძღვანელობა ლეგიონში ახკომკავშირზე.

სამხკორი ი. ჩ.

## ჯგუფის მუშაობა გამოცოცხლდა.

სამხედრო პოლიტსკოლა.

22 იანვარს შესდგა სკოლის ახკომკავშირის კრება, რომელსაც პარტიის წევრებსა და კანდიდატებთან ერთად დაესწრენ სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრებაზე პირველად გაკეთებული იქნა მოხსენება—ორკვირეული მიმოხილვის სახით. ამის შემდეგ გადავედით ერთთვიან სამუშაო გეგმის განხილვაზე, რომელიც ზოგიერთი შესწორებებით იქნა დამტკიცებული. გამოყოფილი იქნა სამხედრო და სამოქალაქო ახკომკავშირის ორგანიზაციაზე მისამაგრებელი ამხანაგები.

ამას გარდა კრებამ შუამდგომლობა აღძრა კომუჯრედის წინაშე, რათა ორი ამხანაგი: მამასახლისოვი და გოგუა მიღებული იქნენ პარტიის კანდიდატებათ.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ჯგუფის მუშაობა ძლიერ გამოცოცხლდა. საქმიან მუშაობაში ხელს გვიწყობს მეორე რაიკომი, რომელიც გვიგზავნის საჭირო ცირკულიარებს და სხვა მხრივად გვაქცევს ყურადღებას.

სამხკორი გ. ჩიტიაშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

### მოგვეცით განათება.

1-ლი არტლეგ. სკოლა.

ამ უკანასკნელ ხანებში, ლეგიონი ყველაფრით დაკმაყოფილებულია, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც არსებობს. იქ სადაც მოწყობილია პირისაბანები, მეტისმეტად ბნელა, შეუძლებელია წესიერად პირის დაბანა და ხშირია შემთხვევა, რომ ერთმანეთს ვეჯახებით და ვიმტვრევით. დროა ამასაც მოაგვარებდენ. გაგვინათეთ პირისაბანი ოთახი.

წ. არმ. მ—თი.

### ჩვენც გვინდა სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდი.

ჩვენი გუნდი იმდენად არის დატვირთული სამუშაოებით, რომ თითქმის ვერ ვახერხებთ ვერც სამხედრო და ვერც პოლიტიკური ცოდნის შეძენას, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტხელი ძალიან ცდილობს. თუ ასე გაგრძელდა ჩვენ დავრჩებით უცოდინარი. საჭიროა მიიღებდენ ზომებს ჩვენი მეთაურები და ორ დღეს მაინც დაგვითმობდენ კვირაში ამისთვის.

წ. არმ. კრიხულისპირელი.

### სარეცხი თავის დროზე არ მზადდება.

მე-3 ლეგიონი.

მესამე ლეგიონის სამრეცხაოს გამგე ყურადღებას არ აქცევს, რომ წითელარმიელების საცვლები თავის დროზე ირეცხებოდეს. მთელი კვირაობით ყრია ჩვენი საცვლები სამრეცხაოში და ყურადღებას არავინ აქცევს. ხშირად ისეთ ჰუჭყში ყრიან საცვლებს, რომ ლპება კიდეც.

დროა სამრეცხაოს გამგე გამოფხიზლდებოდეს და მიიღებდეს ზომებს საცვლების თავის დროზე დამზადებისათვის.

სამხკორი ქლიბი.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ჩაგელიშვილის გამოწვევისა, უწერ გაზეთ „წითელ არმიელ“-ს ექვსი თვით 1-ლ თებერვლიდან ს. დიდი-ვანის ქოხ-სამკითხველოს (ოზურგეთის მაზრა) და ვიწვევ შემდეგ ამხ. ამხ. 1-ლ ქ. მ. ლეგიონიდან: 1. კაპიტონ კვარაცხელიას, 2. ვლადიმერ შოთაძეს, 3. მიხეილ მიქელაძეს, 4. გრიგოლ შიოშვილს, 5. იონა ჯალაღანიას, 6. ირაკლი ლეუნაძეს, 7. ილიკო გოშაძეს, 8. ზაქარია ჯორჯაძეს, 9. ალექსანდრე ვარნაზოვს, და 10. გიორგი დოლაბერიძეს.

1-ლ ქართულ მ. დ. პოლიტგანიდან ამხ. გერმანე ხომერიკს.

მე-2-რე ცალკე საკავშირო ასეულის სამხკომ ამხ. პეტრე ჩხიკვიშვილს.

მე-6-ე ლეგიონიდან ამხ. ვასილ კანდელაკს.

ა. რამიშვილი.

ამხ. ჩაგელიშვილის გამოწვევის თანახმად, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ რაჭის მაზრის ს. ველევის ქოხ-სამკითხველოსათვის 3-მი თვით 1-ლ თებერვლიდან და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს 1 ლ ლეგიონიდან: პოლიტხელ გოშაძე ილიას, ლეგ. კომენდ. ილ. ბერიძეს, კ. კვარაცხელიას, მოლარე მიხ. ცომაიას, მებინადრე ჩუჩულაშვილს, ბატ. სწყობ. თავს პეტრიაშვილს, სკოლის უფრ. მ. მიქელაძეს, მასწ. ამხ. რაზმაძეს, ე. შიოშვილს, გ. ენუქიძეს და პ. გორგასიძეს.

1-ლ არტლეგიონიდან: შ. წულუკიძეს, დემეტრაშვილს, და 2-რე დივიზიის ქიმიური თავდაცვის უფროსს კ. გამრეკელიძეს.

6-სე ლეგ. მ. ჭელიძეს და მე-4-ხე ლეგ. მესხს.

ს. გოგხაძე.

## ახალი ამბები.

— მეორე დივპოლიტგანყოფილებამ გადაგზავნა ავტონომიურ რესპუბლიკებში 600 მანეთი ცვალებადელთა შორის წერა-კითხვის სალიკვიდაციო მუშაობის საწარმოებლად.

— ლიტერატურა წითელარმიელებისათვის. პოლიტგანყოფილებამ მიიღო აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან წიგნების დიდი პარტია თურქულ-სომხურ ენებზე ნაწილებში მყოფ ეროვნულ უმცირესობისათვის.

— მევენახეობისათვის. საქართველოს სახალხო მამულების ტრესტის სახელზე ბათუმში უკვე ჩამოვიდა ამერიკიდან 2.208.000 მეტრი ამერიკული ნამყვენი ვაზი, რაც მოხმარდება ჩვენში მევენახეობის აღდგენას.

— ბორჯომ-ბაკურიანის რკინისგზის გაფართოებას შეუდგებიან ახლო ხანში. სამუშაოებისათვის გადადებულია საჭირო თანხა.

— სასტამბო მასალები ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილებამ საზღვარ გარეთიდან მიიღო დიდძალი სასტამბო მასალები.

— ტრამვაის შენობების შეკეთება. ტრამვაის შენობების შესაკეთებლად წელს გადადებულია 8 ათასი მანეთი.

— ელსადგური სოფლად. სახელმწიფო ელექტრო ტრესტმა იკისრა ვალდებულება ააგოს გიდრო ელსადგური სოფ. ხაშმში (გარე კახეთი).

— ფოტოგრაფიული აპარატები. ა.—კ. სახ. ვაჭრობის საფარმაცევტო განყოფილებამ საზღვარ გარეთიდან გამოიწერა დიდძალი ფოტოგრაფიული აპარატები.

## უცხოეთის არმიებში

### საფრანგეთის ჯიბე ცარიელდება.

ის იძულებულია შეამციროს არმიაზე გასაწევი ხარჯები.

ინგლისური გაზეთები იტყობინებიან: დიდი ხანი არ არის, რომ საფრანგეთის პარლამენტი არჩევდა საკითხს არმიაზე სმეტის შემცირების შესახებ.

მომხსენებლის სიტყვით არმიის სმეტა 40 პროცენტით უფრო ნაკლებია ამ ჟამად, ვინემ ეს იყო 1913 წელში, და ეს იმ დროს, როდესაც ამერიკის არმიის სმეტა 140 პროცენტით, იაპონიის 80 პროცენტით და ინგლისის 49 პროც. არის გადიდებული ომის წინადროის სმეტებთან შედარებით. თუ არსებული მდგომარეობა კვლავ გაგრძელდა, ქვეყნის მშვიდობიანური მდგომარეობა დიდი საშიშროების წინაშე დადგებაო.

დეპუტატი ფაბრიმამ, რომელიც ძველი მთავრობის დროს მომხსენებლად გამოვიდა არმიის სმეტის შესახებ ასტეხა მთელი აურზაური. მისი სიტყვით, როდესაც პარლამენტმა დაამტკიცა კანონი არმიის ორგანიზაციის შესახებ, მაშინ არმია შესდგებოდა 375,000 კაცისაგან წლიურად, 100,000 პროფესიონალური ჯარისკ., 200,000 დამონებულ ქვეყნებიდან გამოყვანილი ჯარის კაცები და 30,000 თავდაცვის მუშაობით დაკავებული არა სამხედრო პირები.

ამ ჟამად კი 100,000 სით ნაკლებია-სახელდობრ: 335,000 კაცი ყოველ წლიური ხარისხის, 75,000 პროფესიონალური ჯარის კაცი, 18,000 დამონებულ ქვეყნებიდან გამოყვანილი ჯარის კაცები და 16—18,000-დე არა სამხედრონი. ამის გამო 32 დივიზია გადაქცეულია ჩონჩხებად. უკეთესი იქნებოდაო, წინადადებას იძლევა ფაბრი, რომ დივიზიები იყვენ რიცხვით მცირე და უფრო ცოცხალი.

კამათის დასასრულში სამხედრო მინისტრის ამხანაგმა სიტყვა მისცა პარლამენტს, რომ შემდეგ თვეში საბოლოო დასტურისათვის წაუყენებენ პარლამენტს ახალ კანონს არმიის შესახებ.

## როგორ უნდა აწარმოოს დღიური ბიბლიოთეკარმა.

(ასეულის ბიბლიოთეკარების მითითება)

ასეულის თითეული ბიბლიოთეკარი, თუ მას სურვილი აქვს თავისი სამუშაო წინ წასწიოს და არაა ტკეპნოს ერთი დაიგივე გაცვეთილი ადგილი, უნდა შეუდგეს თავისი ნამუშევარის სრულ აღრიცხვის შესწავლას. ამისთვის, გარდა ყოველდღიურ და ყოველთვიურ ანგარიშების წარმოებისა, ჩვენ ვურჩევთ მას დღიურის წარმოებას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დღიური მხოლოდ თითონ ბიბლიოთეკარისთვის არსებობს, იგი მას არც არავის „უდგენს“ და არც არავის „უგზავნის“. შეიძლება მისი ჩვენება ამხანაგებზე, რომლებიც ამავე დარგში მუშაობენ, რომ უკეთ გავერკვეთ იმ სწორ, თუ არა სწორ მიდგომებში, რომელიც მუშაობის დროს იყო ნახმარი —მის გასაუმჯობესებლად.

### რა არის ბიბლიოთეკარის დღიური.

ბიბლიოთეკარის დღიური ეწოდება რვეულს, რომელშიდაც იგი შეძლებისდაგვარად ყოველდღიურად ჩაწერს მთელ თავის საბიბლიოთეკო მუშაობას, განსაკუთრებით აქტიურს, წიგნთან და მკითხველთან და აგრეთვე თავისთვის, თვითგანვითარებისათვის წარმოებულ მუშაობას. რისთვისაა აუცილებელი ბიბლიოთეკარის დღიური.

დღიური მისთვისაა საჭირო, რომ ბიბლიოთეკარის თავი არ არის აზრების უბრალო საწყობი—ბევრი ავიწყდება, ბევრი დღეს არ გვეჩვენება საჭიროთ, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ იგი საჭირო ხდება. დღიური ბიბლიოთეკარს დაეხმარება ადვილათ გაერკვეს დღევანდელ მუშაობაში და ამას გარდა გადახედოს წარსულსაც. ამის წყალობით, ბიბლიოთეკარს შეუძლია თავისივე გამოცდილებიდან აღნიშნოს მისი მუშაობის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, ყოველგვარ უვარგის და ზედმეტისაგან განთავისუფლდეს და კარგი მეთოდები უფრო ძლიერათ გამოიყენოს და გააუმჯობესოს. ასე შეიძლება მუშაობის განვითარება და წინსვლა.

### როგორ და როდის ვაწარმოოთ დღიური.

დღიური არ უნდა დაიწეროს მაღალ და ფორმალურ ენით (გვახსოვდეს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის იწერება) არ არის საჭირო აგრეთვე განსაკუთრებული ლიტერატურული ენით წერა და გამოთქმა: ყველა სწერს ისე, როგორც მას შეუძლია და ეხერხება. რომ არ დაგვავიწყდეს ყოველდღიურათ დღიურის შევსება, კარგია ერთხელ და სამუდამოთ დავნიშნოთ დრო, როცა ეს უნდა გავაკეთოთ.

ჩვენი წინადადება, რომ არ მოეჩვენოს ამხანაგებს ძნელი, და აგრეთვე, რომ გავუადვილოთ მათ ამის დაწყება, ჩვენ მოვიყვანთ მაგალითს:

კითხვები, რომლებიც განსაკუთრებითი ყურადღებით უნდა გაშუქდეს დღიურში.

I. ბიბლიოთეკის მოწყობა და გალამაზება.

1) როგორი დიაგრამები, რუქები, სურათები და პლაკატები გაიკრა, 2) როგორ გაიკრა. 3) როგორი ლოზუნგები გაიკრა, როგორ იქნა ეს ლოზუნგები გამოყენებული.

II. წიგნისა და ბიბლიოთეკის აგიტაცია-პროპაგანდაზე.

1) წიგნისა და ბიბლიოთეკის აგიტაციის ყოველი სახე. ა) პლაკატები, ბ) სარეკომენდაციო სიები, გ) წიგნების გამოფენა. დ) ზეპირი აგიტაცია, ე) ხმამაღალი კითხვა წიგნების, გაზეთების და სხვა...

2) წითელ არმიელების დამოკიდებულება ყველა ამ სამუშაოებთან. (განსაკუთრებითი ყურადღება ხმამაღალ კითხვებს): აღნიშნეთ საკითხავათ არჩეული თემა (ავტორისა და სათაურის სწორი ჩვენებით), თუ ნაწარმოები არ ყოფილა მთლიანად წაკითხული, რომელი ადგილები იქნა წაკითხული, რომელი გამოტოვებული და რატომ; აგრეთვე უნდა უჩვენოთ რომელი ადგილი იქნა მოთხრობილი.

ბ) სად და როგორ პირობებში იქნა ხმამაღალი კითხვა ჩატარებული. (თუ კითხვა ჩატარდა ვინმე, მკითხველთა ბიროთვისგან. შენიშვნები მის წაკითხვაზე).

გ) კითხვას თან მოყვა თუ არა საუბარი, თუ კი,—როგორი ხასიათის, თუ არა—რატომ.

დ) ხმამაღალ კითხვის თემაზე, შემდეგი—ითხოვდენ თუ არა წიგნებს ბიბლიოთეკიდან. რომელი წიგნი ურჩიეთ ამ თემაზე საკითხავათ.

საკმაოა წიგნები? რომელი წიგნები არ გყოფნით.

III. მკითხველთა და მათი ინტერესების შესწავლა.

1) კითხვები, რომლებიც წითელარმიელებს აინტერესებთ, და რომელთა გასაშუქებლადაც ჭირდებათ წიგნები. (ყურადღება მიაქციეთ თქვენს საუბარს მკითხველებთან, წაკითხულის შესახებ ან მათ შესახებ—რისი წაკითხვაც განზრახული გაქვთ, დაწვრილებით აღნიშნეთ ის საუბარი, რომელსაც ადგილი ქონდა ახალ მკითხველებთან).

2) უმთავრესათ როგორი ხასიათის წიგნები იკითხება.

3) რომელი გაზეთები იკითხება. ამ გაზეთის რომელ განყოფილებას აქცევს წითელარმიელი ყურადღებას.

ე. მურადოვა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

## აბა გამოიცანი?

### ამოცანა № 4.

ხტუნვით გასავლელია 200 ფუტი მანძილი. A და B ბავშვებს შორის ისეთივე პირობაა დადებული, როგორც № 1 და 2 ამოცანაში.

A ბავშვმა შეცდომით გამოიანგარიშა, რომ მოგებისათვის საჭირო თამაშის დასაწყისში გადახტეს ერთ ფუტზე. როგორ უნდა გააგრძელოს B ბავშვმა თამაში რომ მოიგოს?

## პასუხი შეკითხვებზე.

**მჭედელს.** თუ თქვენ სპეციალური სამჭედლო კურსები არ გაგივლიათ, იმ შემთხვევაში უნდა იმსახუროთ ორი წელი, (სამხედრო სავალდებულო სამსახურის კანონი, მუხ. —37).

**ჭილისხეველს.** ტარების ვადის გასვლის შემდეგ მაზარა თქვენს საკუთრებას შეადგენს.

**ქუთათელაძეს.** თქვენი ძმა ისარგებლებს კანონით დადებულ შეღავათებით. ის ჩაირიცხება ტერნაწილში.

**კუპრაშვილს.** თქვენ შეგიძლიათ თქვენი მამა მოათავსოთ თბილისის რომელიმე საავადმყოფოში, ამისთვის საჭიროა თან იქონიოთ მოწმობა, რომ ის თქვენს რჩენაზე იმყოფება.

**დოლიძეს.** მიმართედ ბიურო-კოლექტივს.

**მერმანიშვილს.** თქვენი შეკითხვა გადაეცა მე-2 დივ. პარტკომისიას.

**ქათამაძეს.** ავადმყოფობის გამო ერთი წლის შვებულება არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ.

**ნ. მაკარიძეს.** უვადო შვებულებაში წახვალთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**ნ. ქ.** მიმდინარე წლის მაისში შეგიძლიათ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე და ჩაბარების შემდეგ წახვალთ უვადო შვებულებაში. თუ გამოცდებს არ ჩააბარებთ, უნდა იმსახუროთ ორი წელი.

**ფხიზელს.** ბიბლიოთეკა უნდა იყოს ღია 6—8 საათის განმავლობაში.

**ფ—ლს.** ბიბლიოთეკის ოთახში გააკარით განცხადება, რომ თამბაქოს წევა აკრძალულია. ამის შემდეგ ვინც არ უნდა იყოს ის თამბაქოს მომწევი, შეგიძლიათ გააფრთხილოთ.

**მე—ლაძეს.** სრული ორი წელი თუ არ გიმსახურიათ მოხალისეთ, ისე არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ 1927 წ. გაწვევის დროს.

**ს. ა.** უნდა მიმართოთ იმ დაწესებულებას, სადაც შესვლა გინდათ. რედაქციას არავითარი ცნობა აქვს იმის შესახებ, თუ სად არის თავისუფალი ადგილი.

**ბელ—იას.** სახალხო სასამართლოს დადგენილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ საოლქო სასამართლოში.

**ო—ას.** მიმართედ სამხედრო პროკურორს.

**თოდრიას.** თუ ბინიდან გამოგასახლეს, აღმასკომი ვალდებულია აღმოგიჩინოს სამაგიერო ბინა.

**მალნარაძეს.** თქვენი ცოლშვილი თუ სოფელში იმყოფება უნდა მიმართოს დახმარებისთვის გლეხკომს, თუ ქალაქშია—სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას.


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე